

ვაკანსიის № 49880

პოზიციის დასახელება	საინჟინრო განყოფილების უფროსი სპეციალისტი
კონკურსის ტიპი	ღია კონკურსი
ორგანიზაცია	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საინჟინრო სამსახურის განყოფილება
კატეგორია	საინჟინრო საქმე
განცხადების ბოლო ვადა	25.06.2018
თანამდებობრივი სარგო	1600 ლარი
ადგილების რაოდენობა	1
სამსახურის ადგილმდებარეობა	თბილისი
სამუშაოს ტიპი	სრული განაკვეთი
გამოსაცდელი ვადა	3 თვე

ფუნქციები

- ა) ხაზობრივი ნაგებობების სამშენებლო დოკუმენტის პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემისათვის შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება;
- ბ) შენობა-ნაგებობის კლასის მიხედვით შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული პროექტის ან სქემის განხილვა და შესაბამისი სანებართვო განყოფილებისთვის განხილვის შედეგებზე ინფორმაციის მიწოდება;
- გ) შენობა-ნაგებობების სამშენებლო დოკუმენტის პროექტის განხილვა მექანიკური, წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების ნაწილში და შესაბამისი სანებართვო განყოფილებისთვის განხილვის შედეგებზე ინფორმაციის მიწოდება;
- დ) საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის, ფუძეების, საძირკვლებისა და სხვა ძირითადი კონსტრუქციების საექსპერტო შეფასების განხილვა და შესაბამისი სანებართვო განყოფილებისთვის განხილვის შედეგებზე ინფორმაციის მიწოდება;
- ე) უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება;
- ვ) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, დაინტერესებული მხარეების, ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების, ადმინისტრაციულ ორგანოებისთვის წერილობითი მიმართვა;
- ზ) კომპეტენციის ფარგლებში, სამსახურში შემოსული კორესპონდენციის განხილვა;
- თ) საჭიროების შემთხვევაში ობიექტის ადგილზე დათვალიერება;
- ი) სამსახურის უფროსის დავალებების შესრულება;
- კ) უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;
- ლ) დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების განხორციელება.

მოთხოვნები

მინიმალური განათლება	ბაკალავრი
სამუშაო გამოცდილება	2 წელი
პროფესია	ინჟინერი ან გეოლოგი

საკონკურსო თემატიკა

- ა) საქართველოს კონსტიტუცია;

- ბ) საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
- გ) საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“;
- დ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- ე) საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- ვ) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი;
- ზ) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი;
- თ) საქართველოს კანონი „სივრცითი მონაცემებისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ“;
- ი) საქართველოს კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“;
- კ) საქართველოს კანონი „სავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“;
- ლ) საქართველოს კანონი „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“;
- მ) საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“;
- ნ) პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი;
- ო) „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- პ) საქართველოს კანონი „ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ“ ;
- ჟ) „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილება;
- რ) „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილება;
- ს) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის N13-35 დადგენილება;
- ტ) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ განული დაჩქარებული მომსახურებისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-52 დადგენილება;
- უ) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-51 დადგენილება.

კომპიუტერული პროგრამები, ოპერაციული სისტემები

პროგრამის დასახელება	ცოდნის დონე
ArchiCAD	კარგი
AutoCAD	კარგი
Arc GIS	კარგი
MS office applications	კარგი

საკონტაქტო ინფორმაცია

საკონკურსო კომისიის მისამართი	ქ. თბილისი, შარტავს ქ. 7
საკონტაქტო ტელეფონები	577977388
საკონტაქტო პირი	ირმა სენიაშვილი

დამატებითი მოთხოვნები

- ა) კანდიდატს უნდა ჰქონდეს მინიმუმ ნაკვეთის და საჭიროების შემთხვევაში მიმდებარე ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის არანაკლებ 2 წლიანი სამუშაო გამოცდილება;
- ბ) წერისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარი.

დამატებითი ინფორმაცია

კონკურსთან დაკავშირებით მოთხოვნებში მითითებული საკანონმდებლო აქტების გასაცნობად ეწვიეთ ვებ - გვერდს: www.tas.ge; <https://matsne.gov.ge/>.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა კანდიდატებმა განცხადების შევსების დროს შესაბამის გრაფაში უნდა ატვირთონ:

- ა) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ასლ(ებ)ი;
- ბ) სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები;
- გ) სამოტივაციო წერილი, სადაც დასაბუთებულად იქნება წარმოჩენილი, თუ რატომ გსურთ არქიტექტურის სამსახურში მუშაობის დაწყება და რატომ თვლით, რომ თქვენი კანდიდატურა შეესაბამება კონკრეტულ ვაკანსიას.

შენიშვნა: კონკურსის მომდევნო ეტაპზე გადავა მხოლოდ ის კანდიდატი, რომელიც დააკმაყოფილებს ამ ფორმით განსაზღვრულ მოთხოვნებს და წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას. კონკურსის ეტაპების შედეგების, ასევე ჩატარების ზუსტი ადგილის, თარიღისა და დროის შესახებ კანდიდატებს ეცნობებათ დამატებით.

გადანწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა

საკონკურსო კომისია გადანწყვეტილებას იღებს ქულათა სისტემის საფუძველზე, განცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში.

კონკურსის ეტაპები

განცხადების გადარჩევა
შეპირი დავალება
გასაუბრება